CATEGORIES OF SUBSTITUTE VICTIMS IN ANCIENT GEORGIA

ჩამნაცვლებელი მსხვერპლის კატეგორიები ძველ საქართველოში

LASHA DOKHNADZE

Doctoral student at St Andrew's Georgian
University; faculty of Georgian History
Ilia Chavchavadze Avenue #53a; Tbilisi, Georgia.
+995 598 21 88 85, lashadokhnadze@gmail.com
https://orcid.org/ 0009-0007-0311-2859

Abstract. Categories of substitute sacrifices in ancient Georgia The article is a step to research the selection criteria of the substitute sacrificial categories in ancient Georgia, their distinguishing features, and the moral-ethical foundations of the substitute mechanisms. The observation of the sacrificial practice in Ancient Georgia showed us that the substitute categories in human sacrifice were representatives of low social classes and members of marginal groups, including children. Furthermore, we often find substitute animal sacrifices, the practice of sacrificing items of various material value, statues, and food, which also had a reciprocal purpose. It is difficult to define a chronological framework for these substitutionary practices as long as the substitutionary sacrificial process is often both synchronic and diachronic. In the previous article, we tried to establish certain cause-and-effect relationships and logical order between these practices and outline the moral-ethical foundations of the process.

Keywords: Sacrifice; substitute sacrifice; ritual; voluntary sacrifice; aggression; animal sacrifice;

ლაშა დოხნაძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტის დოქტორანტი
საქართველო, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 53ა;
+995 598 21 88 85, lashadokhnadze@gmail.com
https://orcid.org/ 0009-0007-0311-2859

აბსტრაქტი. სტატიაში არის მცდელობა ძველ საქართველოში არსებული ჩანაცვლებითი სამსხვერპლო კატერგორიების შერჩევის კრიტერიუმების, მათი განმასხვავებელი ნიშან-თვისებების და ჩამნაცვლებელი მექანიზმების მორალურ-ეთკური საფუძვლების კვლევის. ძველ საქართველოში არსებული სამსხვერპლო პრაქტიკის დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ადამიანური მსხვერპლშეწირვისას ჩამნაცვლებელ კატეგორიებს წარმოადგენდნენ როგორც დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლები და მარგინალური ჯგუფის წევრები, ასევე ბავშვები. ამასთან ერთად ხშირად ვხვდებით ჩამნაცვლებელ ცხოველურ მსხვერპლს, სხვადასხვა მატერიალური ღირებულების ნივთების, სტატუების და საკვების შეწირვის პრაქტიკასაც, რასაც ასევე ნაცვალგებითი დანიშნულება ჰქონდათ. იქიდან გამომდინარე, რომ ჩამნაცვლებელი სამსხვერპლო პროცესი ხშირად როგორც სინქრონულ, ასევე დიაქრონულ ხასიათს ატარებს, უაღრესად რთულია ამ ჩამნაცვლებელი პრაქტიკების ქრონოლოგიური ჩარჩოს განსაზღვრა. წინამდებარე სტატიაში შევეცადეთ ამ პრაქტიკებს შორის გარკვეული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების და ლოგიკური თანმიმდევრობის დადგენას და პროცესის მორალურ-ეთიკური საფუძვლების გამოკვეთას.

საკვანძო სიტყვები: მსხვერპლშეწირვა; ჩამნაცვლებელი მსხვერპლი; რიტუალი; ნებაყოფლობითი მსხვერპლი; აგრესია; ცხოველური მსხვერპლი;

შესავალი

შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლისემანტიკური ტერმინი „ჩამნაცვლებელი მხსვერპლი“ ერთგვარ ტავტოლოგიას წარმოადგენს, რადგან სიტყვა „მსხვერპლი“ უკვე თავის თავში გულისხმობს ჩანაცვლების იდეას. მსხვერპლად შეგვიძლია მოვიაზროთ ყველაფერი ის, რაც ენაცვლება სხვას, იქნება ეს პიროვნება თუ პიროვნებების ჯგუფი, საგანი, თუ საგნები, გარემოება თუ გარემოებები. ამ შემთხვევაში ჩვენ ტერმინ „ჩამნაცვლებელ მსხვერპლს“ გამოვიყენებთ ნაცვალგებითი გაგებით, ანუ ვინმეს ან რაიმეს ჩანაცვლებას ვინმეთი ან რაიმეთი.

ზოგადად, ჩამნაცვლებელი მსხვერპლის გაჩენის იდეა მრავალ ფაქტორს უკავშირდება და მიანიშნებს დიდ ძვრებზე როგორც პოლიტიკურ, სოციალურ, მორალურ, ისე სამართლებრივ სფეროში. ეს არის, ერთის მხრივ, საზოგადოების სტადიალური განვითარების ლოგიკური შედეგი, ხოლო, მეორეს მხრივ, ღრმა სამსხვერპლო კრიზისის მიმანიშნებელი. თუ ფუნქციონალისტურად მივუდგებით, ჩამნაცვლებელი მსხვერპლის ძირების ძიებისას, აუცილებლად მივალთ ადამიანურ მსხვერპლამდე.

ცხადია, ჩამნაცვლებითი სამსხვერპლო მექანიზმის ეფექტური მუშაობისთვის ნაცვალი მაქსიმალურად უნდა გავდეს არქეტიპს. ადამინაური მსხვერპლშეწირვის შემთხვევაში, პირველ რიგში, ის უნდა იყოს ისევ ადამიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მექანიზმი არ იქნება სრულყოფილი. ადამიანის შემდეგ მაინც ყველაზე საუკეთესო კატეგორიად ცხოველი ან ფრინველი, ანუ ისევ სულიერი არსება გვეგულვება, ხოლო ამის შემდეგ - ადამიანის მსგავსი გამოსახულების სტატუები და სხვადასხვა სახის მაღალი ღირებულების ნივთები.

მეთოდი

წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: შედარებით-ისტორიული მეთოდი, სისტემური ანალიზი, ანალიზი და სინთეზი, კომპარატივისტული მეთოდი, სტრუქტურალისტური მეთოდი, ჰიპოთეტური მეთოდი.

შედეგები

ძველ ქართულ სამსხვერპლო ტრადიციაში ჩამნაცვლებელი მსხვერპლი ირჩეოდა რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით. პირველ რიგში უნდა გამოვყოთ სუბსტანციური მსგავსება ავთენტურსა და ჩამნაცვლებელ მსხვერპლს შორის. ადამიანური მსხვერპლშეწირვის შემთხვევაში მაღალი რანგის პერსონებს ენაცვლებოდნენ დაბალი სოციალური სტატუსის მქონე პირები, ან მარგინალური ჯგუფის წარმომადგენლები. ამ ფუნქციას ხშირად ითავსებდნენ მათი შვილებიც, ან ზოგადად ბავშვები, რაზეც ირიბად მიუთითებენ ქართული ნარატიული წყაროები.

მსგავსების კრიტერიუმი ედო ასევე საფუძვლად ცხოველურ ჩამნაცვლებელ მსხვერპლსაც, რომლის სარიტუალო პრაქტიკის არსობრივი მახასიათებელი იყო „თავისუფალი ნებით“, „თანხმობით“ შეწირვის გათამაშება. ამ მიზნით იქმნებოდა მთელი რიგი მექანიზმები, რათა ამა თუ იმ ცხოველის შეწირვაში „თავისუფალი ნების“ ამოკითხვა ყოფილიყო შესაძლებელი.

ჩამნაცვლებელი მსხვერპლის გამოყენების პრაქტიკა ასევე ხშირი იყო მეტეოროლოგიური ხასიათის მსხვერპლშეწირვებისას. ამ შემთხვევაში სისხლიანი მსხვერპლშეწირვა ჩანაცვლდა სხვადასხვა მასალისგან დამზადებული ადამიანის გამოსახულების ნაკეთობებით, რომლებიც ადამიანურ სიმბოლიკას ატარებდნენ. ქართულ სინამდვილეში ჩამნაცვლებელ სამსხვერპლო კატეგორიად შეგვიძლია მივიჩნიოთ აგრეთვე რიტუალური დანიშნულების სხვადასხვა საკვებიო პროდუქტი, რომლის შესაბამისი წესების შესრულების შემდეგ „დაკვლა“ ხდებოდა.

დისკუსია

დავიწყოთ პირველი კატეგორიით, ანუ მაღალი რანგის ადამიანის ჩანაცვლება შედარებით დაბალი სოციალური სტატუსის ადამიანით. თუ როდის მიმდინარეობდა ეს პროცესი ქართულ სინამდვილეში ძალიან რთული სათქმელია. აქაც, ისევე როგორც სხვა სამსხვერპლო დინამიკის განხილვისას საქმეს გვირთულებს ამ პროცესის ზოგჯერ დიაქრონული, ზოგჯერ კი სინქრონული ხასიათი. ქართული წყაროები იმ კონკრეტული სტადიის შესახებ მოგვითხრობენ, როდესაც მოხდა ადამიანური მსხვერპლის (ამ შემთხვევაში ბავშვების) ცხოველურით ჩანაცვლება და არაფერს ამბობენ სხვა კატეგორიის ადამიანების ბავშვებით ჩანაცვლებაზე, ან თუნდაც ამგვარი პროცესის არ არსებობაზე. ერთი რამ ცხადია, რომ მსოფლიოს ბევრმა არქაულ საზოგადოებამ განიცადა უფროსებიდან ბავშების მხვერპლშეწირვის სტადიაზე გადასვლის პერიოდი. გამოჩენილი მეცნიერის ვ. ბურკერტის აზრით, ბავშვები ხშირად გამოდიოდნენ გააზრებულ შემნაცვლებლებად უფროსი-მსხვერპლების, და, ამასთან ერთად, მათი სიკვდილი ხსნიდა თაობებს შორის კონფლიქტს (ბურკერტი, 2000; 455). ბავშვი არქაულ საზოგადოებებში დაბალი რანგის არსებად მიიჩნეოდა, ამიტომ ლოგიკურია მისი ჩამნაცვლებელი მსხვერპლის კატეგორიად ქცევა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ როგორც სხვაგან, ასევე ქართულ სინამდვილეში პირველადი მსხვერპლის ჩამნაცვლებლის ფუნქცია უპირველესად ბავშვებს ეკისრებოდათ, ხოლო შედარებით მოგვიანო სტადიის დროს, ან თანადროულად უნდა დაწყებულიყო მარგინალური ჯგუფის წარმომადგენლების შეწირვა. ამ დროს აშკარად იხვეწება და მტკიცდება „განტევების ვაცის“ სამსხვერპლო მექანიზმის ფუნქციონირება. ბავშვების გარდა ფარმაკოსებად ძირითადად გამოიყენებოდნენ სამხედრო ტყვეები, ობლები, მონები, უქორწინებლები, ანუ ძრითადად იმ კატეგორიის ადამიანები ვისაც არ გაუვლიათ ინიციაციის გზა, ანუ არ განეკუთვნებიან საზოგადოებას; ხოლო, მეორეს მხრივ, „განტევების ვაცებად“ გვევლინებიან ის მარგინალი არსებები, რომელთაც პოტენციურად

არ ძალუძთ შურისძიება (ჟირარი, 2010: 21). ამ ტიპის სამხვერპლო რიტუალი დაფუძნებულია ორმაგ შენაცვლებაზე: ეს პრინციპია საზოგადოების ყველა წევრის შეცვლა ერთით, ანუ „განტევების ვაცის“ მექანიზმის ამოქმედება; მეორეა რიტუალური, რომელიც ზედ ეფინება: პირველს: „განტევების ვაცი“ ენაცვლება თავდაპირველ მსხვერპლს, რომელიც შეიწირა illo tempore. ამ აქტით მსხვერპლშეწირვას აქვს მიმეტიკური ხასიათი თავდაპირველ ძალადობასთან მიმართებით. (ჟირარი; 2010: 40). ანუ აქ საქმე გვაქვს კონკრეტული ტიპის სამსხვერპლო ტრადიციის არა მხოლოდ კოსმოლოგიურ, არამედ სოციალურ და ეთიკურ საფუძველთან. „განტევების ვაცის“ მექანიზმი, ძალიან გავრცელებული ჩანს ძველ ქართულ სამსხვერპლო რიტუალში, რაზეც ჩვენ დაწვრილებით ვისაუბრეთ სტატიაში, ამიტომ აქ აღარ გავაგრძელებთ საუბარს (იხ. დოხნაძე, ლ. „განტევების ვაცის“ მექანიზმი ძველ ქართულ მსხვერპლშეწირვით სისტემაში, ჟურნალი „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“, N 6, (2023).

უნდა აღნიშნოს, რომ ქართულ წყაროებში ვხვდებით ცნობებს, როგორც სეფეწულების, ასევე დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლების ბავშვების შეწირვის ცხოველებით ჩანაცვლების შესახებ: „ხოლო იყვნეს კერპნი სხუანიცა სამეფონი: გაცი და გა.**და შეიწირვოდა მათა ერთი სეფეწული ცეცხლითა დაწუვად და მტუერი გარდაბნევად თავსა კერპისასა.“** (ძეგლები; 1963: 126); „რამეთუ მამანი ჩუენნი მოივლინნეს ვიდრე დღეთა ჩემთამდე და შეჭამნეს შვილნი მათნი მსხუერპლად კერპთათვის სამაგელთა და **უბრალოი იგი ერი ქუეყანისაჲ ამის,** და რომელნი შვილთა მათთა, **ვითარცა თივასა თიბდეს მამანი ჩუენნი, რაითა სათნო-ეყვნენ კერპთა**, და უფროის ხოლო ორთა მათ მთათა, არმაზისა და ზადენისა, რომელსა ქვანიცა მათნი დაულტვიან სისხლითა ჩჩვილთაითა. და ღირს-ცა არიან მთანი იგი ასპოლვად ცეცხლითა, რისხვითა ღმრთისა მიერითა (ძეგლები; 1963: 144).

უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის ცნობებს შორის ჭარბობს სეფეწულების შეწირვის შესახებ ინფორმაცია, რაც იმ დროისათვის პოლიტიკური სისტემის და, ზოგადად, სახელმწიფოებრიობის განვითარების საკმაოდ მაღალი დონიდან გამომდინარე საკმაოდ უცნაურად მოსჩანს. ლოგიკურია, რომ ძველ საქართველოში სეფეწულების ცხოველური მსხვერპლით ჩანაცვლების პროცესში უნდა არსებულიყო გარდამავალი სამსხვერპლო კატეგორიის ჯგუფების (რომლებიც ჩვენ დასახელებულ სტატიაში ძველ ქართულ ტერმინ „მწირში“ გავაერთიანეთ) შეწირვის ტრადიცია და მას შემდეგ უნდა მომხდარიყო მათი ცხოველური მსხვერპლით ჩანაცვლება. ამგვარ მარგინალურ კატეგორიასთან გვაქვს საქმე I საუკუნეში სტრაბონის მიერ ალბანეთში აღწერილ რიტუალში, სადაც შეწირული მსხვერპლი შორს არის სეფეწულის რანგისგან. ერთი შეხედვით, რთული წარმოსადგენია სამსხვერპლო ტრადიციაში სინქრონულად არსებულიყო სეფეწულების შეწირვა, რაც თითქოსდა რევ მართალმა აკრძალა III საუკუნეში და მარგინალი ჯგუფების წარმომადგენლების, „მწირების“ შეწირვის პრაქტიკა. თითქოს, ქართული წყაროების ცნობა სეფეწულების შეწირვის შესახებ უფრო ანაქრონიზმი ჩანს და ქრისტიან მემატიანეებს აპოლოგეტური მიზნით ძველი პრაქტიკის დაფიქსირება სურდათ ქრისტიანობის გარიჟრაჟზე. თუმცა გადაჭრით ამის თქმა არ შეიძლება, რადგან, პოლიტიკური სტრუქტურების განვითარების მაღალი დონის მიუხედავად, ზოგიერთ ქვეყანაში მაინც ხდებოდა სეფეწულების, ან დიდგვაროვნების შვილების შეწირვა. (მაგ, კართაგენში და სხვა სემიტურ ხალხებში). თუმცა, თუკი ამ პროცესს ჰქონდა ადგილი მესამე საუკუნის საქართველოში, მას უფრო სპონტანური ხასიათი უნდა ჰქონოდა, ვიდრე სისტემატიური. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქრისტიანობას არ დახვედრია აქ ადამიანური მსხვერპლშეწირვის პრაქტიკა და არ მიუძღვის როლი ამ საშინელი ტრადიციის დასრულებაში. აქ საუბარია იმაზე, რომ ახალ რელიგიას დიდი ალბათობით ჩვენს რეგიონში უნდა დახვედროდა უფრო მეტად მარგინალი ჯგუფების წარმომადგენლების შეწირვის პრაქტიკა და

ნაკლებად მაღალი რანგის კატეგორიის ადამიანების, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ ამ უკანასკნელთა სამსხვერპლო კატეგორიად გამოყენებასაც არ გამოვრიცხავთ.

თუ გადავხედავთ არქაული საზოგადოებების სამსხვერპლო პრაქტიკებს, დავინახავთ, რომ ბავშვთა მსხვერპლშეწირვის ერთ-ერთი მოტივი კონპენსატორული ხასიათის იყო. მ. ელიადე, როდესაც ეხება სემიტურ ხალხებში ისტორიულად არსებულ მსხვერპლშეწირვებს, წერს: „თავად მოლოქთან მიტანილი ბავშების საზიზღარი მსხვერპლშეწირვაც ატარებდა ღრმა რელიგიურ მნიშვნელობას. ამ მსხვერპლშეწირვით ადამიანი უბრუნებდა ღვთაებას იმას, რაც ეკუთვნოდა, იმდენად რამდენადაც პირმშო ყოველთვის მიიჩნეოდა ღვთაების ბავშვად“ (ელიადე, 1996: 163).

გარდა კოსმოლოგიური თუ რელიგიური ხასიათის მსხვერპლშეწირვებისა, ძველ სამყაროში ხშირად ვხვდებით ეთიკური შინაარსის სამსხვერპლო პრაქტიკებს. საუბარი გვაქვს ბავშვებზე, როგორც ჩამნაცვლებელი მსხვერპლის კატეგორიებზე. მამრი ხელისუფალნი ზოგჯერ „ჩანაცვლების“ ხერხს მიმართავდნენ და თავის ნაცვლად ღვთაებას მხსვერპლად სწირავდნენ პირმშო შვილს (მაგ. ტანტალოსი - პელოფსს, აგამემნონი - იფიგენიას, აიეტი - აფსირტოსს... (ცანავა, 2005: 271).

გამოჩენილი ანთროპოლოგი რენე ჟირარი, ევრიპიდეს ცნობას, მედეას მიერ შვილების დახოცვის შესახებ, რიტუალურ მსხვერპლად მიიჩნევს. მისი აზრით, ეს საზარელი მკვლელობა ჩამნაცვლებელი მსხვერპლის კატეგორიად უნდა განვიხილოთ. ის წერს: „ევრიპიდეს „მედეაში“ ერთ ადამიანის მეორეთი ჩანაცვლების პრინციპი ხდება ყველაზე ბარბაროსული ფორმით... თავისი ზიზღის ნამდვილი საგანი, არის რა რეალურად მიუწვდომელი, მას მედეა **ანაცვლებს თავისი შვილებით.** შეიძლება შეგვეწინააღმდეგონ, რომ ეს სიგიჟის აქტი შეუთავსებელია იმასთან, რაც ეკუთვნის იმ სფეროს, რომელსაც ვუწოდებთ „რელიგიურს“. თუმცა მედეას მიერ ბავშვთა მკვლელობა **ადვილად ექვემდებარება რიტუალურ ჩარჩოებში ჩასმას.** ეს ფაქტი ძალიან კარგად არის დამოწმებული მრავალ კულტურაში, მათ შორის ბერძნულსა და იუდაურში, რათა გაგვეთვალისწინებინა ის... მედეა ამზადებს თავისი შვილების მკვლელობას, როგორც ქურუმი მსხვერპლშეწირვას. მკვლელობის წინ იჩენს რიტუალურ სირთხილეს, როგორც ჩვეულებით ჯერ არს: მოუწოდებს განეშორონ ყველა, ვინც თავისი მყოფობით შეიძლება ხელი შეუშალონ რიტუალს.

მედეა, ისევე როგორც აიაქსი, გვაბრუნებს ძალადობის ყველაზე ელემენტარულ ჭეშმარიტებასთან. თუ კი ის არ არის დაკმაყოფილებული აგრძელებს დაწვეთებას, მანამ სანამ არ გადავა ზღვარს და არ გავრცელდება ყველაზე შემზარავი შედეგებით. მსხვერპლშეწირვა ცდილობს კონტროლის ქვეშ აიყვანოს და „სწორი“ მიმართულებით მიმართოს ის სპონტანური ბიძგები და ცვლილებები, რომლებიც ხდება ძალადობის აფეთქების ჟამს“ (ჟირარი, 2010:).

სოციალური სტუქტურების ევოლუციის დარად იცვლება ბავშვების სამსხვერპლო კატეგორიებიც. უკვე ხშირად ვხვდებით პრაქტიკას, როდესაც დაბალი სოციალური კატეგორიის ბავშები გამოიყენებოდნენ მაღალი სოციალური რანგის ბავშვების ჩამნაცვლებლებად. ეს ე. წ. სუროგატ მსხვერპლად მიიჩნეოდა, ამიტომ ყოველთვის არ აღწევდა სასურველ შედეგს. გამოჩენილი ანთროპოლოგი ე. ტაილერი წერს: „კართაგენელებმა, რომლებსაც აგათოკე ავიწროებდა, დამარცხება ღმერთების რისხვას მიაწერეს. ძველად ისინი კრონოსს სწირავდნენ მსხვერპლად თავისი ხალხის საუკეთესო შვილებს, მოგვიანებით კი ამ მიზნით დაიწყეს და ასევე გამოკვება სხვისი შვილების. ამით გამოხატავდნენ **ძვირფასი მსხვერპლის ნაკლებად ღირებულით შეცვლის ბუნებრივ**

მისწრაფებას. მაგრამ ახლა უბედურების ჟამს გადაწყდა მოეწყოთ გრანდიოზული მსხვერპლშეწირვა, რათა გაეთანაბრებინათ ანგარიში და აენაზღაურებინათ ყალბი მსხვერპლი. ამ გადაწყვეტილებას **უკეთილშობილესი ოჯახების ორასი ბავშვი შეეწირა.** ეს ამგვარად მოხდა: „მათ ჰქონდათ კრონოსის სპილენძს ქანდაკება, რომელსაც ხელები ისე ჰქონდა დახრილი, მათზე მოთავსებული ბავშვები ცვიოდნენ ღრმა ორმოში, რომელიც ცეცხლით იყო სავსე.“ ფინიკიელთა ღმერთი, რომელიც აქ კრონოსად მოიხსენიება, მოლოხთან არის გაიგივებული (ტაილორი, 1997: 251).

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, თავად ჩამნაცვლებელი მსხვერპლის იდეის გაჩენა უკვე ღრმა სამსხვერპლო კრიზისის მიმანიშნებელია. ამ კრიზისიდან გამოსავლის ძიებამ მთელი სიმძმის ცენტრის ცხოველებზე გადატანა გამოიწვია, ოღონდ არა ყველა სახეობის, არამედ იმ კატეგორიის ცხოველებზე, რომელთა ქცევებშიც თითქოსდა „თავისუფალი ნების“ გამოხატულების დანახვა შეიძლებოდა. ამ მომენტს ჯერ კიდევ განმანათლებლობის ეპოქაში მიაქცია ყურადღება ფრანგმა მოაზროვნემ ჟოზეფ დე მესტრმა. ის წერს: „ცხოველებიდან ყოველთვის ირჩევდნენ ყველაზე ღირებულ და სასარგებლო, ყველაზე მშვიდობიან, ყველაზე უდანაშაულო, თავისი ინსტინქტებით და ჩვევებით ყველაზე მსგავსს ადამიანთან... ცხოველებს შორის ირჩევდნენ, „ასე ვთქვათ ყველაზე ადამიანურ ცხოველს“ (დე მესტრი, 1998: 310)

ადამიანურ ბუნებასთან სიახლოვე თუ არა ცხოველებიდან ყველაზე მეტად მორჩილება და ურისხველობა ახასიათებს ცხვარს, ამიტომ ნებითი მსხვერპლის კატეგორიაში ყველაზე მეტად ის ჯდება და, შესაბამისად, ხშირად ვხვდებით ამ მიზნით ცხვრის გამოყენების ფაქტებს. „ცხვარი ღმერთს ჩამოუშვია ციდან და ხალხისთვის უსწავლებია, რომ ეს ჩემი სამსახურისთვის გამოიყენეთო.“ - ამბობს ქართული თქმულება (კიკნაძე, 2016).

საუკეთესო ვარიანტი იქნება, თუ ცხოველი მაქსიმალურად უდრტვინველად შეიწირება. შესაწირი საქონლის გაჯიუტებას და, მით უმეტეს, გაქცევას უდიდეს უბედურებად თვლიდნენ. ქართულ ეთნოგრაფიულ ცნობებში დაფიქსირებულია ტერმინები: **„მადლიანად შეიწირა“,** თავისი **ნებით დაწვა“** და ა.შ. (სურგულაძე, 2003: 158). ხშირი პრაქტიკა იყო ცხოველის ნებაყოფლობითი ქცევის გათამაშებისა. ა. დავითიანის ცნობით, სვანები შესაწირ ხარს **არყით ათრობდნენ,** რათა წინააღმდეგობა არ გაეწია და დამყოლი ყოფილიყო (სურგულაძე, 2003: 158).

თუ გადავხედავთ ცხოველური მსხვერპლშეწირვის ძველ ქართულ რიტუალებს, ვნახავთ, რომ ცხოველი ხშირად თავად წმინდანს მოჰყავს შესაწირად. ეს გარემოება მსხვერპლს ანიჭებს მეტაფიზიკურ საზრისს და შემწირველს სრულად ათავისუფლებს მორალური პასუხისმგებლობისგან. ასე წმინდანის „ნებით“ მოსულ ცხოველს ისე ექცევიან, რომ არ უნდა იგრძნოს შიში დაკვლისას. ზრუნავენ, ეთაყვანებიან, ასრულებენ საგალობლებს, უშუალოდ დაკვლის წინ მალავენ დანას... სამსხვერპლო ცხოველს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ღვთაების, წმინდანის შიში და არავითარ შემთხვევაში ადამიანების, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში არ აღსრულდება მსხვერპლშეწირვა, როგორც ნებაყოფლობითი აქტი.

არქაულ სამსხვერპლო პრაქტიკებიდან ძალიან ხშირი იყო დელგმის ან გვალვის შემთხვევაში სასურველი ამინდის გამოწვევის მიზნით მოწყობილი რიტუალები. ამ შემთხვევაში, სისხლიანი მსხვერპლშეწირვა ძირითადად ჩანაცვლდა სხვადასხვა მასალისგან დამზადებული ადამიანის გამოსახულების მქონე ნაკეთობებით, რომლებიც ადამიანურ სიმბოლიკას ატარებდნენ. ამ ტიპის სამსხვერპლო პრაქტიკებს აშკარად ახასიათებს იმიტატიური მაგიის ნიშნები, რაც გულისხმობს იდეისა და საგნის,

პიროვნებისა და გამოსახულების სუბსტანციური იდენტურობის რწმენას. აქ, ერთის მხრივ, წმინდად მაგიურ რიტუალთან შეიძლება გვქონდეს საქმე, როდესაც, ვთქვათ, გასანადგურებელი ობიექტის მსგავს გამოსახულებიან სტატუას აგდებდნენ წყალში და ფიქრობდნენ, რომ მის არქეტიპს იგივე ბედი ერგებოდა. (იხ. ფრეზერი; 2018); ხოლო, მეორეს მხრივ, როგორც მსოფლიოს არაულ საზოგადოებებში და მათ შორის ძველ ქართულ ტრადიციაშიც ასე გავრცელებული მსგავსი პრაქტიკა, რეალური მსხვერპლის სიმულაციურით ჩანაცვლების პროცესის შედეგი უნდა იყოს.

ეთნოლოგიაში დიდი ხანია გამყარებულია აზრი, რომ მეტეოროლოგიური ხასიათის სისხლიანი სამსხვერპლო მექანიზმების უსისხლო პრაქტიკებით ჩანაცვლების პროცესში დიდი როლი ითამაშეს მონოთეისტურმა რელიგიებმა. ცნობილ ამერიკელ მეცნიერს ლ. მორგანს მოჰყავს მაგალითი ქაიროში არსებული ერთ-ერთი ჩვეულებიდან, რომლის დროსაც ნილოსის ადიდების პერიოდში დატბორვის ადგილას დგამდნენ მიწის კონუსისებრ სვეტს, რომელიც ადიდებულ წყალს მიჰქონდა. ამ ჩვეულებას ერქვა „არუსეხ“ (პატარძალი...). გამოჩენილი ანთროპოლოგის აზრით, უწინ წყალში აგდებდნენ საზეიმოდ გამოწყობილ **ქალწულს** ღვთაებისგან წყალუხვობის გამოწვევის მიზნით. ამ მსხვერპლშეწირვის შეცვლა მოხდა ისლამის ჰუმანურობის გავლენით (მორგანი, 1997: 252).

თუ დავაკვირდებით სასურველი ამინდის გამოწვევის მიზნით საქართველოში ჩატარებულ სამსხვერპლო რიტუალებს, ჩვენთანაც ხშირი იყო ქალწულ-პატარძლის „შეწირვის“ ტრადიცია, რომელიც ღვთაებასთან ქორწინების, ანუ ჰიეროგამიის სიმბოლური გამოხატულებას წარმოადგენდა. ამგვარ მაგალითებს მრავლად ვხვდებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მოგვყავს რამდენიმე მათგანი:

სამეგრელოში საწვიმარი თოჯინის დამზადება იცოდნენ. მას აღმოსავლეთ რაიონებში **„მოჭყუდიას“ - პატარძალს** ეძახდნენ, ზუგდიდის რაიონის ზოგ სოფელში „ძიძიკვავას“, ხოლო გალში - „ძივავას“. თოჯინის სახელების ეს ორი უკანასკნელი ვარიანტის მნიშვნელობა მოსახლეობას დავიწყებული აქვს (სურგულაძე, 2003: 231). სამეგრელოს ზოგიერთ სოფელში, როდესაც დადგებოდა გვალვა, სოფლის გოგოები გააკეთებდნენ დედოფალს, რომელსაც ქალურად მორთავდნენ. დედოფალს სოფელში შემოატარებდნენ, მას ქალები დაიტირებდნენ, **წყალში გადააგდებდნენ** - წვიმა მოვაო. ზოგჯერ სოფელი საკლავსაც დაკლავდა და შესთხოვდა ცა-ღრუბლის უფროსს ნამის მოცემას (მაკალათია, 2006: 400).

მსახიობ სერგი ცაგარეიშვილის ცნობით, სოფელ შილდაში ლაზარობაზე გამოჰქონდათ ხეზე წამოგებული ორი თოჯინა - „გელიოსი“ და „მარო“, რომელთაც წყალს ასხამდნენ და ლოცვებს ამბობდნენ (ჯანელიძე˜, 1948: 474).

ქალწულის მსხვერპლად შეწირვის მითლოგემა ძალიან ძველი დროიდან მომდინარეობს. ამ ტიპის გადმოცემები მსხვერპლშეწირვის უძველეს მოდელზე მიგვითებენ, როდესაც „პატარძალი - მსხვერპლი“ უშუალოდ გადადის ღვთაების კუთვნილებაში. ეს მითო-რიტუალური მოდელი ძალიან პოპულარულია ჯადოსნურ ზღაპრებში. ეთნოლოგიური გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ქალწულთა შეწირვები დაასტურებულია მექსიკაში, პოლინეზიაში და, როგორც ჩანს, საბერძნეთშიც. ქალწულს სწირავდნენ ომის დაწყებამდე და ან ნადირობამდე... (ცანავა, 2005: 128).

ქართულ სინამდვილეში მიშვნელოვან სამსხვერპლო კატეგორიად იქცა ასევე გარკვეული სარიტუალო პროდუქტი, რომელთა შორისაც განსაკუთრებით ხშირია ქადის გამოყენება. ქადის, როგორც სამსხვერპლო-სარიტუალო დანიშნულებაზე მიუთითებს ის გარემოება,

რომ ის კი არ იჭრება, არამედ ფშაველის წარმოდგენით შესაფერისი ლოცვა-სავედრებლების წარმოთქმის შემდეგ ის **„დაიკვლის“** (ბარდაველიძე, 1941: 109).

ჩამნაცვლებელი სამსხვერპლო რიტუალის ევოლუციის გზაზე ხშრად ვხვდებით ღვთაების, ან რომელიმე მეტაფიზიკური არსების მოტყუების მცდელობებს. რენე ჟირარის აზრით, ჯადოსნურ ზღაპრებში სადაც მგელი ითხოვს ადამიანს შესაჭმელად, ხოლო გველეშაპი - ბავშვს, მათ ნაცვლად კი მოტყუებით აძლევენ ქვას, სრულიად შესაძლებელია იყოს დაკავშრებული მსხვერპლშეწირვასთან (ჟირარი, 2010: 11).

მრავალი ხალხის მითლოგიაში სამსხვერპლო რიტუალის აღსრულების დროს არც თუ ისე იშვიათია ბოროტი ძალის მოტყუების მცდელობებიც. მსგავსი პრაქტიკა აქვს გადმოცემული გამოჩენილ ბრიტანელ ანთროპოლოგს ე. ტაილორს კუნძულ ცეილონზე. შემლოცველი ეკითხება ეშმაკეულს იმ ეშმაკის სახელს, რომლითაც ის არის შეპყრობილი. ეშმაკეული პასუხობს: „მე ვარ ესა და ეს, მსურს ადამიანის მსხვერპლი და მის გარეშე არ გამოვალ.“ ეშმაკს მსხვერპლს აღუთქვამენ, ავადმყოფი თავისუფლდება და რამდენიმე კვირის შემდეგ პირობას „ასრულებენ“. ადამიანის ნაცვლად მსხვერპლად წირავენ ქათამს (ტაილორი, 1997: 252).

როგორც დავინახეთ, ისევე როგორც სხვაგან, ძველ საქართველოშიც მრავალფეროვან ჩამნაცვლებელ კატეგორიებს იყენებდნენ ავთენტური მსხვერპლის გადასარჩენად. ბუნებრივია, რომ ეს მექანიზმები ბოლომდე ვერ ასრულებდნენ თვის ფუნქციას და ყოველთვის ტოვებდნენ სივრცეს ნამდვილი მსხვერპლშეწირვის აღდგენისთვის.როგორც დიდი ფრანგი მეცნიერი როჟე კაიუა წერს, როგორც კი ადამიანურ მსხვერპლს ცვლიან პირობითი გამოსახულებით, მაშინ რიტუალი ყოველთვის მეტად თუ ნაკლებად კარგავს თავის შინაარს გამოსყიდვის და განაყოფიერების... ის იღებს პაროდიის სახეს, რომელიც შეიმჩნევა უკვე რომაულ დღესასწაულებზე და რომელიც დიდ როლს შუასაუკუნეობრივ დღესასწაულებზე სულელების და უდანაშაულო ყრმების (კაიუა, 2003: 240). როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, თავად ჩამნაცვლებელი მსხვრპლის იდეის გაჩენაც უკვე ღრმა სამსხვერპლო კრიზისზე მიანიშნებს, ხოლო რაც უფრო ღრმავდება კრიზისი, მით უფრო იზრდება ჩამნაცვლებელი კატეგორიების და სიმულაციური მსხვერპლების რაოდენობა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბარდაველიძე, ვ. (1941). *ივრის ფშავლებში ტ. XI , ენიმკის მოამბე VII.*

დოხნაძე, ლ. (2023). „განტევების ვაცის“ მექანიზმი ძველ ქართულ მსხვერპლშეწირვით სისტემაში, *ჟურნალი: „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“, N 6,* გორი: სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი http://sciencejournals.ge/index.php/HAE/article/download/362/320

კიკნაძე, ზ. (2016). *“ხანში ირემი მოვიდა“,* http://saunje.ge/index.php?id=1440

მაკალათია, ს. (2006). *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია,.* თბილისი.

მორგანი, ლ. (1997). წეს-ჩვეულებები და ცერემონიები. *ეთნოლოგიის ქრესტომათია.* შემდგ. სოსო ჭანტურიშვილი, თბილისი.

ჟირარი, რ. (2010). *„პირველი ქვა“, მოდერნულობის თეორიები, ტ. 1. კრებული.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სურგულაძე, ი. (2003). *მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში.* თბილისი.

ტაილორი, ე. (1997). გადმონაშთები კულტურაში. *ეთნოლოგიის ქრესტომათია.* შემდგ. სოსო ჭანტურიშვილი, თბილისი.

ცანავა, რ. (2004). *მითორიტუალური მოდელები, სიმბოლოები ანტიკურ მწერლობაში და ქართული ლიტერატურულ-ეთნოლოგიური პარალელები:* დისერტაცია/ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი:გამომცემლობა „თბილისი".

ძეგლები (1963). *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I,* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჯანელიძე, დ. (1948). *ქართული თეატრის ხალხური საწყისები.* თბილისი.

Буркерт. В (2000). Вальтер Буркерт, "Homo Necans". *Сборник статей "Жертвоприношение. Ритуал в искусстве и культуре от древности до наших дней".* москва.

Элиаде, М. (1996). *мифы, сновидения, мистерии,„рефл-бук", „Ваклер".*

Фрезер. Дж. (2018). *джеймс фрезер золотая ветвь, Издание на русском языке.* «Издательская Группа «Азбука-Аттикус».

Кайуа, Р. (2003). *Миф и человек, Человек и сакральное (сборник),* Москва.

Жозеф де местр, Санкт-Петербургский вечера, *СПБ,* алетейа.

REFERENCES

bardavelidze, v. (1941). ivris pshavlebshi t'. XI [In the fields of Ivri]. enimk'is moambe VII. [Reporter of the Institute of Language, History and Material Culture VII].

dokhnadze, l. (2023). „gant'evebis vatsis" mekanizmi dzvel kartul mskhverp'lshets'irvit sist'emashi. [The scapegoat mechanism in the ancient Georgian sacrificial system]. zhurnali: „ist'oria, arkeologia, etnologia", N 6, gori: ssip'-goris sakhelmts'ipo universit'et'i. [Journal : „History, Archeology Ethnology," N 6 Gori, Gori State University]. http://sciencejournals.ge/index.php/HAE/article/download/362/320

k'ik'nadze, z. (2016). "khanshi iremi movida". [A deer came in Khani]. http://saunje.ge/index.php?id=1440

mak'alatia, s. (2006). samegrelos ist'oria da etnograpia, [History and ethnography of Samegrelo]. Tbilisi.

morgani, l. (1997). ts'es-chveulebebi da tseremoniebi. etnologiis krest'omatia. [Rituals and Ceremonies. Cretsomania of Ethnology] . shemdg. soso ch'ant'urishvili [Com. Soso Chanturishvili]. Tbilisi.

zhirari, r. (2010). „p'irveli kva", modernulobis teoriebi, t'. 1. k'rebuli. ["The First Stone", Theories of Modernity, Vol. 1. Collection]. Tbilisi: Published by Ilia State University.

surguladze, i. (2003). mitosi, k'ult'i, rit'uali sakartveloshi. [Mythological ritual in Georgia]. Tbilisi.

t'ailori, e. (1997). gadmonashtebi k'ult'urashi. etnologiis krest'omatia. [Relics in culture. Cretsomatics of ethnology]. shemdg. soso ch'ant'urishvili. [Com. Soso Chanturishvili] . Tbilisi.

tsanava, r. (2004). mitorit'ualuri modelebi, simboloebi ant'ik'ur mts'erlobashi da kartuli lit'rat'urul-etnologiuri p'aralelebi: disert'atsia/pilologiis metsnierebata dokt'oris sametsniero khariskhis mosap'oveblad. [Mytho-ritual models, symbols in ancient writing and

Georgian literary-ethnological parallels: dissertation for obtaining the scientific degree of Philological Sciences Doctor]. Tbilisi: publishing house „Tbilisi“.

dzeglebi (1963). dzveli kartuli agiograpiuli lit'erat'uris dzeglebi, ts'igni I. [Monuments of ancient Georgian hagiographic literature, book I]. publishing house of the Georgian Academy of Sciences.

janelidze, d. (1948). kartuli teat'ris khalkhuri sats'qisebi. [Folk origins of Georgian theater]. Tbilisi.

Burkert. V (2000). Val'ter Burkert, “Homo Necans”. Sbornik statej “Zhertvoprinoshenie. Ritual v iskusstve i kul'ture ot drevnosti do nashih dnej”. [“Homo Necans”Collection of articles "Sacrifice" Ritual, art and culture from ancient times to the present day]. Moskva.

Jeliade, M. (1996). mify, snovidenija, misterii [Myths, Dreams and Mysteries]. Moscow: Publishing house:„refl-buk“, „Vakler“].

Frezer. Dzh. (2018). dzhejms frezer zolotaja vetv', Izdanie na russkom jazyke. [Golden Branch, publishing house in Russian]. Publishing house: «Izdatel'skaja Gruppa «Azbuka-Attikus».]

Kajua, R. (2003). Mif i chelovek, Chelovek i sakral'noe (sbornik). [Myth and man, man and sacred. Collection]. Moskva.

Zhozef de mestr, Sankt-Peterburgskij vechera. [St. Petersburg evenings]. publishing house SPB, aleteja.

.